Adjaristsqali Georgia LLC

Shuakhevi Hydropower Project

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

03. 06.2022

Ref: 82/02-22

გაცნობებთ, რომ სხალთა ჰესის ქვესადგურის შუახევი ჰესის ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა ჩატარებულია 2017 წელს და გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N26 (20.04.2017 წელი), რომლის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 7 აგვისტოს N2-757 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განხორციელდა ეგხ-ს სამშენებელო სამუშაოები და 2021 წლიდან გადაცემულია ექსპლუატაციაში. მშენებლობის პერიოდში, კერძოდ: 2019 და 2020 წლებში საბაზისო პროექტში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, ხოლო ხაზის ექსპლუატაციაში გადაცემის შემდეგ კვლავ საჭირო გახდა დამატებითი ცვლილებების განხორციელება, კერძოდ:

35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის გარკვეულ მონაკვეთზე, სადაც პარალელურ დერეფანში უნდა აშენდეს 220 კვ ძაბვის ახალციხე-ბათუმის ელექტროგადამცემი ხაზი, გამოვლინდა ხაზების სადენებს შორის სტანდარტით დადგენილი 4 მ-იანი დაცილების დარღვევის ფაქტები. შესაძლო ავარიული ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლობას წარმოადგენს 35 კვ ძაბვის ელექროგადამცემი ხაზის რამდენიმე 5 ანძის ადგილმონაცვლეობა და დამატებით 2 ანძის მოწყობა.

საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას. შესაამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა დაგეგმილი ცვლილებების სკრინინგის განაცხადი, რომლის საფუძველზე, მინისტრის 2022 წლის 4 აპრილის ა N 2-256 ბრძანებით საქმიანობა დაექვემდებარა გზშ-ს პროცედურას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ სხალთა ჰესის ქვესადგურის შუახევი ჰესის ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.

წერილს თან ერთვის

№14469
07.06.2022
2/CD

Adjaristsqali Georgia LLC
129, Bagrationi Str., Batumi 6010, Georgia

- „სხალთა ჰესი"-ს ქვესადგურის „შუახევი ჰესი"-ს ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების სკოპინგის ანგარიში -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის გეოგრაფიული კოორდინატები (საბაზო პროექტის და საპროექტო ცვლილებების მიხედვით) Shp- ფაილების სახით, CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „აჭარისწყალი ჯორჯია"-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

რაკეშ ნაიკ

უფლებამოსილი წარმომადგენელი